ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №710117

ნომერი: AR1133752

თარიღი : 23.05.2013

გაცემის თარიღი : 28.05.2013

გაცნობის თარიღი : 28.05.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი. ჭავჭავაძის გამზირის ბოლოს / ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე ტროლეიბუსების ბოლო გაჩერებასთან არსებული სკვერი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაკა ჩხაიძე პ/ნ 01003010194
- თბილისი მუხიანი IVა მ/რ კორ. 14 ბ. 53

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ ირკვევა აღნიშნული მდებარეობს თუ არა შპს. „ზვარე 1961"–ს საკადასტრო საზღვრებში. საჭიროა აიტვირთოს ტერიტორიის საკადასტრო გეგმა, საპროექტო სარეკლამო ფირნიშის განთავსების ადგილის მონიშვნით. იმ შემთხვევაში, თუ ფირნიშის განთავსება ხდება საკადასტრო საზღვრებს გარეთ, მოგახსენებთ, რომ 2009 წლის 6 თებერვლის #2–4 გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შ.პ.ს "აუთდორ ჯი", ხოლო მარცხენა სანაპიროზე შ.პ.ს "სმოდ ედვერთაიზინგი", გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ შესაბამის ორგანიზაციას.

ადგილმდებარეობის დაზუსტების შემდომ ასევე გაითვალისწინეთ:

".არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს და "ფოტომონტაჟი"-ს ველში აიტვირთოს როგორც შორი ასევე ახლო მანძილიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge